საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თეთრყვავილა

თეთრყვავილა

თეთრყვავილა (Galanthus), ბალახოვან მცენარეთა გვარი ამარილისებრთა ოჯახისა. პატარა მრავალწლოვანი ბოლქვიანი მცენარეებია. მათი სიმაღლე 30 სმ აღწევს. აქვთ ორი ხაზური ან მოგრძო ხაზური ფოთოლი და რამდენადმე გრძელი საყვავილე ღერძი რ-ზედაც მეტწილად ერთი თავჩაქინდრული ყვავილია. 18 სახეობა გავრცელებულია კავკასიაში დას. ევროპაში მცირე აზიასა და ირანში. საქართველოში მთისწინეთის და მთის ტყეებში მაღალმთის მდელოებზე 9 სახეობა იზრდება მ.შ. 6 საქართვ. ენდემია: ვორონოვის თ. (G. woronovii); კემულარიას თ. (G. kemulariae); კეცხოველის თ. (G. ketzkhovelii); კრასნოვის თ. (G. krasnovii); ლაგოდეხის თ. (G. lagodechianus); შაორის თ. (G. schaoricus), 1–კავკასიისა. ადრე გაზაფხულზე ლამაზად მოყვავილე მცენარეებია.

ლ. ხინთიბიძე